ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 288

ქალაქი ქუთაისი 29 მაისი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №20-ში), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის 2024 წლის 15 მაისის №5/26526 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 21 მაისის 44-4424142572 წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, საკუთრებაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №20-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდის №03.05.22.927; ფართობი: 5295.00 კვ.მ.), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საკალათბურთე აკადემია დოლასათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412784955) უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით გადაცემის მიზნით, უძრავ ქონებაზე თანამედროვე სახის საკალათბურთე დარბაზის მშენებლობისათვის.

მუხლი 2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საკალათბურთე აკადემია დოლა“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412784955) თუ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე არ განახორციელებს საკალათბურთე დარბაზის მშენებლობას, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებამოსილებას, სახელმწიფოსაგან მოითხოვოს უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №20-ში; საკადასტრო კოდის №03.05.22.927; ფართობი: 5295 კვ.მ.) დაბრუნება.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. №-129-
30-05-2024წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო